სილოვანი

ცხოვრების სურათები

ჩემი აზრი ⁄ ფიქრები

მეორე წიგნი

ვ. ი. ბეჟანეიშვილის გამოცემა.

ქუთაისი
ქილაძისა და ხელაძის სტამბა. ❀ Тип. Киладзе и Хеладзе.
1902

ს ი ლ ო ვ ა ნ ი

ცხოვრების სურათები

ჩემი აზრი დ ფიქრები

მეორე წიგნი

30857

ვ. ი. ბეჟანეიშვილის გამოცემა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-ფუნდუკი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук

ქუთაისი
ქილაძისა და ხელაძის სტამბა. ❀ Тип. Киладзе и Хеладзе.
1902

Дозволено Цензурою, Тифлисъ 20 Августа 1902 г.

ცხოვრების სურათები.

I.

ატუნკატი.

ულასავით აწოწილა
ჩირგვმძრომია ქურდი მელა;
შემპარავი ძაღლივითა
მიმოძვრება ჩუმათ, ნელა;
ძვეშქვეშ უჭვრეტს იგი ყველას,
თითქო სურდეს — გასწყდეს ყველა.

*

სულ ტიტინობს, სულ ლიკლიკობს,
არ ეღალვის ყბა და ენა;
მასთან ბაასს ნუ დაიწყებთ,
სჯობს-სრულიად სდუმდეთ თქვენა:
სიტყვის თქმასაც არ დაგაცლისთ,
კბილს ილესავს, უნდა კბენა.

*

ბრბოს ის მოსწონს: — „ხედავთ, ხედავთ,
ხმას ვერ იღებს მასთან სხვაო!
ხედავთ, ყველა გააჩუმა,
იმისთანა რაღაც სთქვაო!
საკვირველი კაცი არის, —
ძუხს და შფოთავს, როგორც ზღვაო!“...

*

სულ სხვა მიზნით უსწავლია
სამართალი და კანონი:
იცის ყოველ კანონთ მუხლის
მოსავლელი გზა და ფონი,
რომ მტყუანი გაამართლოს,
შეიძინოს იმით ქონი.

❁

ასე ამბობს: „მართალ მხარეს
რა ჩამოვრჩე, რა წავლლიტო?..
ისევ მტყუანს გაუმარჯოს,
ავაზაკიც იყოს, კინტო!..
ჩემკენ, ქურდო, მკვლელო, ფლიდო,
ჩემი ჯიბის მარგალიტო!..

❁

„ვსთქვათ, ივანემ პეტრე მოკლა,
ხანჯლის წვერზე წამოიგო:—
მე ივანე რომ დავიცვა,
მისი საქმე რო მოვიგო,
ასის ადგილს ათასს მომცემს,—
არც იქნება ეს ურიგო...

❁

„და პეტრეს კი რა მოვკითხო,
საიქიოს გამგზავრებულს?
რა მოვსთხოვო მის დედ-მამას,
უმისოთაც გამწარებულს?
ან ცოლს, ერთ წამს თვალცრემლიანს,
მეორე წამს გახარებულს?!..“

❁

ასე ზომავს ყოველ საქმეს;
ვინც მას არგებს, იმას იცავს;
ხშირათ საწყლებს მოატყუებს:
„მოვიგებო“—ქრისტეს ფიცავს,
და გულში კი ასე ფიქრობს:
„ბიჩვენებენ ციმბირის ცას!“

*

ნასწავლია, და უსწავლელს—
ბანა არა?!—გზას უნათებს!
ჯკუას ასე დაარიგებს:
„პრვის ბისცე, თუ რამ გმართებს;
რომ გიჩივლონ, ჩემთან მოდი:
მე მოვიგებ, რა გადარდებს?!

*

„ცრუ მოწმეებს ხომ იშოვნი,—
ათასია კაცი ფლიდი!
ვინც სიცრუეს დაიფიცებს,
იმას ეძმე, მასთან მიდი,
და მერე კი—ის მე ვიცი,
როგორ გავსდვა ცრუთა ხიდი!..“

*

ხალხს ანათლებს, რა თქმა უნდა,
რაკი ასე დაარიგებს!
ხალხიც გათამამებული
წავა, ქრთამებს დაარიგებს,—
და ყოველი ავაზაკი
საქმეს ასე გაარიგებს.

ერთ კაცს ორი შვილი ყავდა
და მდიდარი იყო მეტათ.
მისი შვილნი ლოთნი იყვენ,
იქცეოდენ ერთობ ცუტათ;
სალოთოთ და სამეძაოთ
მამას თხოვდენ ფულს სახვეტათ.

❋

და როცა რომ მამამ ფული
სალოთოთ შვილთ ალარ მისცა,
უხუცესმა თავის გულში
მამის მოკვლა დაიფიცა—
და ერთ ღამეს მხეცმა-მთვრალმა
თვისი ალთქმა დაამტკიცა.

❋

იმ წამსვე მართლმსაჯულებამ
მკვლელის ძებნას მიყო ხელი;
გაიგო, რომ მხეცი შვილი
იყო მოხუც-მამის მკვლელი;
შვილიც გასტყდა, სთქვა: „მე მოვკალ,
მე გამოვსჭერ მამას ყელი“...

❋

გასტყდა,—მაგრამ, რომ დაფიქრდა,
სწრაფათ ეცა გულსა ელდა:
კატორღა რო მოიგონა,
ციმბირს წასვლა გაუძნელდა...
სთქვა: „რათ მოვკალ?!“... გული მეტათ
აუტირდა, აუღელდა.

❋

შველას ვერსით უყურებდა,—
გული, სული დაულონდა...
უცებ ფიქრში მკვლელთა მცველი
„ატუნკატი“ მოაგონდა—
და იმედმა გაულიმა;—
დააწინდრა, რაც რამ ქონდა.

*

„ატუნკატმა“ ათქმევია
ყოველივე მკვლელს ნამდვილი;
სთქვა: „მოგება შეიძლება,
თუმც არ არის სულ ადვილი,—
მაგრამ ისე თავს ვერ იხსნი,
თუ ვერ შევსთხზეთ ჩვენ ტყუილი.

*

„რომ არ გამოტეხილიყავ,
არ გიჭირდა შენ ამდენი;
რაკი გასტყდი, ციმბირს წახვალთ—
ან თვითონ შენ, ან ძმა შენი;
ამის მეტი გზა არ არის:
როგორც გინდა, ისე ქენი...

*

„რათ დაღონდი? ძმა გებრალვის—
და ამიტომ სახეს ხუშავ?
ნუთუ ძმას ვერ გაიმეტებ,
თუკი მამას ხანჯალს ფუშავ?!
არა, ძმაო, მე შენ გირჩევ—
ამ კარგ საქმეს ნუ ჩაფუშავ.

*

„სამსჯავროში შეიტანე
შენ ამგვარი მოხსენება:
„ტყუილია, რაც მოგეცით
მე პირველი ის ჩვენება,
აწ კი ვსტყდები, რადგან მსჯისთქო
ვითომ მამის მოჩვენება.

❋

„შემებრალა მე პირველათ
უმცროსი ძმა, ჯერ ყმაწვილი,
და სასჯელი მის მაგიერ
მე ვიკისრე, ვსთქვი ტყუილი;
აწ კი ვხედავ—ღირსიათქო,
თვით რომ იქნეს ის დასჯილი“!

❋

„ამნაირათ, დამნაშავეთ
უმცროსი ძმა აღიარე;
ცრუ მოწმეებს კი იშოვნი—
მიიარე-მოიარე;—
ციმბირს წავა,—ალარავინ
გეყოლება მოზიარე!..“

❋

და ამგვარათ „ატუნკატმა“
ეს სიკეთე დაგვითესა:
ძაცი ყოვლად უკოდველი
საციმბიროთ გააწესა,
და მკოდველი აქ დასტოვა,—
გაიტენა ფულით ქესა.

❋

ერთი სიტყვით, ამ ვაჟბატონს
უნდა—მოსდვას ყველას კვანტი...
მეტს არ ვიტყვი. თვით მიხვდება,
ვინც არაა ჭკუით ზანტი,
რომ არ არის ასარევი
„ვექილი“ და „ატუნკატი“.

II.

ᲓᲝᲮᲢᲣᲠᲘ.

ᲡᲐᲒᲔᲠ ᲔᲢᲚᲘᲗ ᲛᲝᲑᲫᲐᲜᲓᲔᲑᲐ:
ᲔᲡ ᲓᲝᲮᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ!
ᲯᲙᲣᲘᲗ, ᲪᲝᲓᲜᲘᲗ ᲒᲣᲓᲐᲤᲨᲣᲢᲐ,
ᲛᲪᲝᲓᲜᲔᲗ, ᲑᲠᲫᲔᲜᲐᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲩᲔᲜᲘ...
ᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲯᲒᲘᲛᲔᲑᲐ
ᲔᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲘ!

❖

ᲛᲐᲛᲐᲚ ᲘᲜᲓᲝᲣᲠᲘᲕᲘᲗᲐ
ᲘᲤᲣᲧᲔᲑᲐ, ᲘᲑᲔᲠᲔᲑᲐ;
ᲛᲫᲘᲛᲔᲗ ᲓᲐᲓᲘᲡ, ᲛᲫᲘᲛᲔᲗ ᲣᲑᲜᲝᲑᲡ,
ᲛᲫᲘᲛᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ;
ᲗᲘᲗᲥᲝ ᲖᲔᲪᲐ ᲛᲮᲠᲔᲑᲖᲔ ᲐᲬᲕᲔᲡ—
ᲘᲚᲣᲨᲔᲑᲐ, ᲘᲑᲚᲣᲠᲔᲑᲐ.

❖

ᲒᲣᲚᲨᲘ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ: „ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲕᲥᲜᲐ,
ᲡᲣᲚ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲛᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ;
ᲓᲘᲜᲯᲐᲗ, ᲛᲫᲘᲛᲔᲗ ᲠᲝᲛ ᲕᲘᲥᲪᲔᲕᲘ,
ᲕᲔᲠᲕᲘᲜ ᲛᲙᲐᲓᲠᲔᲑᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲤᲐᲡᲔᲑᲡ,
ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲗᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ
ᲕᲮᲕᲔᲢ ᲓᲐ ᲕᲑᲝᲭᲐᲕ ᲛᲔ ᲐᲗᲐᲡᲔᲑᲡ“...

❖

ღმერთმა ნურვის გაუჭიროს,
რომ დასჭირდეს მისი შველა,
თვარა, თუგინდ სულდო სჭირდეს,
ან უბრალო რამე ხველა,—
გააკოტრებს... ვინ ჩამოსთვლის,
რამდენს ჯიბე გაუთხელა!..

❖

თუ მდიდარმა მიიწვია,
მსწრაფლვე ეტლით მიბძანდება;
სანამ სახლში შევიდოდეს,
ბრძნული სახით ემზადება:
ხელებს იფშვნეტს, ტანზე იქვრეტს,
იპრანჭება, იზლაზნება.

❖

და რომ შევა, თვალს ავათმყოფს
ამაყურათ გადაავლებს;
პირველ მაჯას გაუშინჯავს,
თვალის უბეს, ენას, თვალებს;
სიცხეს ზომავს, გულზე, ზურგზე
უკაკუნებს... გააწვალებს.

❖

შემდეგ ნაზათ სკამზე ჯდება
და აიღებს ხელში კალამს;
მაგრამ, სანამ რეცეპტს დასწერს,
მძიმე ფიქრით თავსა ლალავს...
მერე დინჯათ წამოდგება
და მასპინძელს აძლევს სალამს,

❖

Ერთს ამათგანს დერეფანში
ბაიხმობს და ეუბნება:
„მძიმე ავათმყოფი არის
ძლიერ, მეტი არ იქნება,—
მაგრამ შიში ნურაფრის გაქვთ:
მე... მე ძალმიძს განკურნება“!

❋

მასპინძელი კონვერტს აძლევს,
რომ გასავალს ულებს კარებს;
დოხტური კი უარს აძბობს
(ხუთს, ათ მანეთს რათ იკმარებს!?)
„მერე... მერე! კიდევ განახავთ!“
ასე მოჭრით დაუბარებს.

❋

გზაში ამბობს: „თვითონ ვკვირვობ,
მე რომ საქმე მემართება:
ვამბობ, ანთებაამეთქი—
და წითელა ემართება!
ციებაამეთქი, ვიტყვი,—
ბავიხედავ- და ანთება!

❋

„ახლაც, მე რომ ავათმყოფი
ვატრიალე, ვგონებ კმარა,—
მაგრამ ინჩიც ვერ გავიგე,
ცოდნა სულ არ მომეკარა...
მერე რალაც გამოვსწერე:
ღმერთმა იცის—არგებს, არა“...

❋

ამნაირათ წამლებს შინჯავს,
ბინდ არგოს და გინდ ნუ არგებს:—
საიქიოს რომ გაგზავნოს,
მე შენ გეტყვი—პასუხს აგებს!
თუ არა და—დარბაილლათ
დასეირნობს,—რას წააგებს?!

*

თვიდან თვემდი დადის, დადის,
ვითომ სტკივა ძლიერ გული!
მაგრამ მისი მიზანია—
გამოიკრას ბლომათ ფული!
ავათმყოფს კი რას დაეძებს,
განუტეოს თუნდა სული!..

*

ღარიბს როცა დაინახავს,
სიახლოვეს არ იკარებს;
იცის—ბლომათ ვერ მიიღებს,
საკმარისს კი არ იკმარებს.
ამიტომაც ღარიბს, საწყალს
ჩაუკეტავს მაგრათ კარებს.

—·✠·—

სხვა აქიმი ვერ ეშოვნა
ერთხელ გლეხკაცს გაჭირებულს,
და ამ ჩვენი **დოხტურისთვის**
მიემართა გამწარებულს;
—„რა გინდაო?!“ შეეყვირა
მისთვის დოხტურს გაჯავრებულს.

*

— ბევედრები, მომეხმარე,
თვარა შვილი მომიკვდება.
ქალაქიდან ჩემს სახლამდი
ხუთი ვერსი თუ იქნება:—
ეტლს მოგართმევთ ამ წამშივე,
თუ იქნება თქვენი ნება.

❋

— ამ წამშივე ძილი მინდა!
თუ დრო მექნა, ხვალ წამოვალ.
— ოხ, ბატონო! შვილი, შვილი!
არ დავვხვდება ცოცხალი ხვალ...
— ეს რა ჩემი საქმე არის!
თუ არ გინდა, გარეთ გახვალ!

❋

საბრალო გლეხს რაღა ექნა?
გზა არ ქონდა წასავალი.
ძლივს შვიდ თუმნათ მოურიგდა,
დაითხარა ცოცხლათ თვალი:—
მამასისხლათ ვაჭრებისგან
მან აილო იქვე ვალი.

❋

მეორე დღეს უკეთესი
გლეხმა ეტლი რო მიართვა,
დახტურმა ბეთ ნახევარი
წინდაწინვე გამოართვა:—
უამისოთ ვერ იშოვნა
გლეხმა მისი ნებადართვა.

❋

ბაემგზავრენ. ერთი ვერსი
ექნებოდათ ძლივს გავლილი,
გზაში შეხვდათ ცხენოსანი,
ბლეხის სოფლით მოგზავნილი;
სთქვა: „აქიმი ნუღარ გინდა,
მიიცვალა შენი შვილი“...

❋

აღრიალდა მწარეთ გლეხი,
დიდხანს ღვრიდა მდუღრათ ცრემლებს...
დახტურს უთხრა: „გვიანლაა!
ბულს ვერავინ გამიმთელებს...
და თუმნის მეტს ნუ წამართმევ,
ისემც ღმერთი გადღეგძელებს“.

❋

დახტურმა გლეხს შეუყვირა:
„როგორ ბედავ შენ, ყაზახო?!
ბინდა—ახლავ დაგიჭირო,
პოლიციას დავუძახო?!
დანარჩენიც მოიტანე,
თუ არ გინდა—გაილახო!..

❋

„შენ, როგორც გავს, სულ არ იცი
ადათი და წესი ჩვენი...
აბა ტყვილა გავიარე
ამდენი გზა, ტყე და ღრენი!?
მაგრამ მიპატიებია—
არა უშავს—დანარჩენი!“

❋

Გლეხმა უთხრა: „მე მეყოფა
ტანჯვათ, რაც დღეს დამემართა,
და ამდენ ფულს რატომ მართმევ?
მე ხომ შენი არ მემართა?!“...
დახტურმა გლეხს არ უსმინა—
და შინისკენ გაემართა.

❖

მე არ მითქვამს, ვითომ ყველა
აწერილის იყოს მზგავსი,
მაგრამ ას ორმოცდაათში
იპოება მაინც ასი.—
სჯობს—დახტურებს რომ ატენით,
აქამს მისცეთ იგივ ფასი *).

*) ამ ორ ლექსს („ატუნკატი“ და „დახტური“) თავდაპირველათ საერთო სათაური ქონდა „ამ დროის გმირები“ (ამ სათაურით მინდოდა რამდენიმე ტიპი დამეხატა). რადგან ეს ლექსები შინაარსით „ცხოვრების სურათებს“ ემზგავსება, რომლის წერაც მე 1895 წელში დავიწყე, ამიტომ იმათ „ცხოვრების სურათებს“ ვუერთებ.

III.

IV.

ია! ვარდენს ვახლავარ!..
ვერ გხედავ დიდი ხანია...
— რა ვუყო, მოცლა არა მაქვს,—
თავიც ვერ მომიფხანია!

ბევრი საქმე გაქვს? ჰო, უვლი
ალბათ ოჯახს და მამულებს...
— ერთი შენც!.. სხვას რომ შევხედავ,
ისიც კი თავსა მაძულებს!..

მაშ საზოგადო საქმეში
ხარ ალბათ მარად გართული,
რომ წინ წასწიო მოძმენი
და დედაენა— ქართული?..

საქმე არა გაქვს? რას ვაქნევ
მოძმეებს, დედაენასა?!..
თაყვანს იმას ვსცემ, პირადათ
ვინც მე მანიჭებს ლხენასა!

❀

ძეიფი, ცეკვა, სიმღერა—
ჩემი მიზანი ეს არი,—
და მეჯავრება ჭირივით
ძვეყნისთვის მტირალ-მკვნესარი.

❀

უზრუნველათ მაქვს ყოველ დღეს,
რაც მენატრება გულითა:
მსურს—ყანწით დავლევ შამპანურს,
მსურს—აზარფეშით, კულითა!...

❀

დღეს აქ ვქეიფობ, ხვალ იქა,—
საცა ღიაა კარები...
დღეს გრაფისას ვარ სადილათ:—
მშვიდობით, მივეჩქარები!

❀

მშვიდობით!... ძარგათ გავიგე,
რა საქმეებიც გქონია!..
მაგრამ მისმინე, რა გითხრა,—
ბრძენთაგან გამიგონია:—

❀

ვახ, თუ ზაფხულში მღერალმა—
ზამთარში შექნა გლოვანი!..
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!“

V.

გულშემატკივარი მეგობარი

წერილი.

ერჩილ! შენც იცი, ძმობილო,
რა გაჭირვებაც მადგია:
სულიდა შემრჩა, სხეული
ჩემი აწ მეტი ბარგია.
დაავათვმყოფდი: ვით უწინ,
ველარ მუშაობს მკლავები,—
ლარიბთა ხიფათ—მახეში
მეც სხვებთან ერთათ გავები.
მარტო რომ ვიყო, არ ვჩივი,
ავიტან წყურვილს, შიმშილსა,—
მაგრამ ის მტანჯავს, რომ ვუმზერ
დამშეულს, შიშველ ცოლ-შვილსა.
დღეს დილას ჩემი ელიკო
მომვარდა ლოყაწითელი,—
თოვლით დამწვარი, დამსკდარი
მიჩვენა ფეხი ტიტველი

და მითხრა: „მამა, მამილო,
ხშირათ მგზავნიან გარეთო,
წული არა მაქვს — და თოვლი
მიყინავს ფეხებს მწარეთო“...
ხმა ვერ გავეცი, — უნებლივ
თვალი ცრემლებით ამევსო...
ცრემლი შევიშრე, მაგრამა
ეკალი გულსა დამესო...
ლონე არა მაქვს, ძმობილო, —
დამემშა მთელი ოჯახი;
ერთი კვირაა — ამ თოვლში —
არ გამითფია ოთახი.
თუმც ავათა ვარ, მაინც კი
მე შრომა არა მაკლია,
და კიდევ ლუკმა პურს ვეძებ! —
რო მოვკვდებოდე, მადლია...
მაგრამ არ ვკარგავ იმედსა, —
დიდია ღმერთი ციერი, —
სულ ავათ ხომ არ ვიქნები —
მით მწყურვალი და მშიერი?!
მოვრჩები, შრომას ვუმატებ,
გავიორკეცებ ძალებსა, —
თან ნუგეშს მივსცემ ცოლ-შვილსა,
თან მოვიშორებ ვალებსა!..
თუ არ შენ, ვისლა შევჩივლო
ჩემი წუხილი, ვარამი?..
მეგობარსა გწერ — და ახლაც
თრთის, მიკანკალობს კალამი...

ხუთი თუმანი მათხოვე,—
ბთხოვ—მიმეგობრო ეს ერთი,
და მალე გამოგიბრუნებ,—
შემაძლებიებს, მწამს, ღმერთი.

ბასუხი.

შენმა წერილმა მაცნობა,—
თუმცა წინათაც მსმენია,—
რა დღეშიცა ხარ, და თხოვნას
რომ ვერ გისრულებ, მწყენია.
მაგრამ რა გიყო? რაცა მაქვს,
ყველა ჩემს ოჯახს სჭირია,
და ავალება, შენც იცი,
რა დიდი გასაჭირია...
ბანკში კი ათას თუმნამდი
ვინახავ, როგორც სულს კბილით,—
მაგრამ მას ხელსაც ვერ ვახლებ,
თუგინდ ვკვდებოდე შიმშილით.
რვაას—ცხრაასი მანეთი
ჯიბეშიცა მაქვს მე ფული,
მაგრამ ეტლს, ცხენებს ვყიდულობ,—
სხვასთან ვარ გარიგებული.
ადრე რომ გეთქვა, შენს თხოვნას
ვგონებ კი აგისრულებდი,
სანამ ეტლსა და ცხენებსა
საყიდლათ დავიგულებდი.

ახლა კი, რომ არ ვიყიდო,
სწორეთ რომ არა მარგია:—
იაფათ მაძლევს,—ცოლ-შვილის
გასატარებლათ კარგია.
იქიდან ორას—სამასი
მომრჩება ჯიბის ფულათა;
მაგრამ ხელს ხომ ვერ გავიცლი,—
ვცხოვრობ თავშენახულათა...
შენც ხედავ, ჩემო ძმობილო,
რა საშვალებაც მქონია,
თვარა არ გაგაწბილებდი,—
ეი დამიჯერებ, მგონია.
დარწმუნდი, უარს რომ გითვლი,
მწუხარებით ვარ დასჯილი...

შენი ერდგული ძმობილი
და მეგობარი
არჩილი

VI.

ბრმების სათაყვანო.

ესო! მითხარი, გეთაყვა,
რით არის ნიკო ქებული?
რატომ სცემთ ასე თაყვანსა,
რათა გყავთ გალმერთებული?
— აბა რას მკითხავ, თუ ძმა ხარ!
ზანა ეგ საკითხავია?!
ვინც იმას თაყვანს არა სცემს,
ის საგმობ-საკიცხავია...
— თუ სათაყვანო კი არის,
მეცა მსურს—მივსცე სალამი,
მაგრამ ჯერ მაცვნე: რას მოძღვროობს
იმისი დროშა—ალამი?
ან თუ შეუშრო ხალხს ცრემლი,
ძვრივ-ობოლთ უქრო გლოვანი...
ეს ამიხსენი, ეს მითხარ:
რით არის სახელოვანი?..
— სახელოვანი რით არის?
ყველაფრით: ჭკუით, ზნეობით,

Ოდნით, სიტყვითა და საქმით,
მხნეობით, ენამზეობით...
— თვით გამოსცადე ყველაში?
შენ მასთან საქმე გქონია?
თუ, იმეორებ სხვის ნათქვამს,
სხვებისგან გაგიგონია?
— მე მასთან საქმე?! ვერც ვიცნობ
ქარგათ, გიფიცავ ძმობასა,—
მაგრამ ყველანი აქებენ,
ვერ გაიგონებ გმობასა...
— ღმერთო! ასს მაინც კი ვკითხე—
და ყველა ასე იძახის!..
შენ ეს მითხარი: სარგები
რა გააკეთა მან ხალხის?
მეც ვხედავ, ვიცი—ბევრი აქვს
სახლი და ადგილ-მამული,
თვით ცხოვრობს ფუფუნებითა,
ბანკშიც მრავალი აქვს ფული...
მაგრამ ვერ ვხედავ, არ ვიცი—
რა გაუკეთა ქვეყანას,
რომ ყველა ასე აღმერთებთ,
მისთვის ეხევით თქვენ დანას!..
— რა გააკეთა—არ ვიცი,
რას გააკეთებს—არც ისა...
ვიცი, რომ არ ვარ შნახველი
მისებრ ჭკვიანი კაცისა.
— საბუთი, ბესო, საბუთი!..
მაგრამ ამაოთ დავშვრები...

ერთს რასმე გეტყვი, ძმობილო,
თუმც ვიცი—ძლიერ გასწყრები.
ზონებით ბრმასა, თვალხილულს—
თავი მხედველი გგონია:—
თვალით სჭვრეტ, ჭკუით ვერარა
ბაგიზომ—აგიწონია.

VII.

ვეჯოლრეები.

ილა მშვიდობის, თეოჯან!
რა ადრე გაგლვიძებია!
ჯერ მზეც კი არ ამოსულა...
ახალი რა ამბებია?
— მართაჯან, მოყვარული ხარ,
ვიცი, ამბების ცხელ-ცხელის-
და შენთან გამოვიქეცი...
იცი, რა მოხთა წუხელის?
— რა მოხთა, შენ გენაცვალე?
რას აგვიანებ, მითხარი!..
— შენც კარგათ იცნობ მაშიკოს: —
ათი დღის წინათ მის ქმარი
თავის სოფელში წასულა,
რაღაცა საქმე ქონია, —
და რომ დაბრუნდა წუხელის,
რა ნახა, როგორ ვგონია?
— რა, რა, რა? ჩქარა მითხარი!
სული ამომხთა ლოდინით...
— რაი და — ქმრის ხმა რომ ესმა,
ქალი წამოხტა ლოგინით, —
შეიქნა რაღაც ფხაკური,

რალაც ჩურჩული ხმიანი...
თურმე დღით უქმრო მაშიკო
ღამღამით იწვა ქმრიანი!
სხვა გზა არ იყო — ახალმა
ძველ ქმარს მიმართა და ეცა,
და იგი თავზარნაცემი
იქავე პირქვე დაეცა.
ბონს რო მოვიდა, ცოლს კითხა:
„ქალო, ვინ იყო ისაო?“
მან უპასუხა: „რა ვიცი,
ქაჯი თუ იყო ტყისაო!“...
— ხა-ხა-ხა! რა გამახარე!
შენ გაგახაროს იესომ!..
ღმერთო, რა სასაცილოა!
და მართალია სულ ეს ხომ?
თუ, ჩვენებურათ, გაწყობილ —
გაშალაშინებულია?
— შენთან არ ვფიცავ, — ცოტათი
შეთხზულ-გაშვენებულია...
მაშიკოს ქმარი — ეს ვიცი —
სოფელში იყო წასული;
ესეც ეტყობა — ცოლს ქმრისკენ
არ აქვს არც გული, არც სული...
კიდევ ეს ვიცით — მაშიკოს
მრავალი ეარშიყება...
და დანარჩენი რომ შევთხზათ,
რა უსამართლო იქნება?!

— ეი, გენაცვალე! ვინ ამბობს!..
შეამკე, გაალამაზე!
დაგიმადლებენ,—საყვედურს
არავინ გეტყვის ამაზე...
— ახლა მშვიდობით, მართაჯან!
წავალ, ვუამბობ ნაცნობებს...
ბაღმა გადავსცემ ფეფოსა,—
ყველას დაივლის, აცნობებს...
— წადი, გეთაყვა, გაღმისკენ,—
ბამოღმის ნუ გაქვს დარდები:
ახლავე კაბას გადვიცვამ
და უზმათ გადავვარდები!

VIII.

უანგარო მოლვაწე.

ახედამჭკნარი, ფერმიხთილი,
წარბშეჭმუხვნილი—
ზის ერის ტანჯვით მოწამლული
მამულიშვილი.

ზის დღისით, ღამით,—თვალწინ უდგას
ხალხის წარსული,—
აწმყოს ადარებს— და ეშხამვის
ბული და სული.

მას ფიქრი ფიქრზე გულს აწვება,
ვით ზღვისა ზვირთი:—
სურს—ჩაგრულთ, მაშვრალთ შეუმჩატოს
სამძიმო ტვირთი.

სიტყვით და საქმით მარად მოძმეთ
ემსახურება,—
დაუვიწყია საკუთარი
უბედურება:

ავათმყოფობა, თან სიცივე,
შიმშილ-წყურვილი —
და აგონდება მხოლოდ ხალხის
ტანჯვა, სურვილი...

თვისი ოთახი საპყრობილეთ
გადაქცევია: —
მას აქ მრავალგზის გულის სისხლი
დაუქცევია.

მწარე ფიქრებით გულმოწამლულს,
ბონებაშეპყრულს —
წმინდა ჰაერიც საკმაოთა
არ აქვს აქ ბედკრულს.

და წუთისოფელს ლევს ამ შრომით,
ასე წამებით...
არ ღირსებია ხელის მოსმაც
შუბლზე ამებით, —

არ ღირსებია ერთი სიტყვაც
თანაგრძნობისა —
კაცს, მქადაგებელს სიყვარულის,
მხოლოდ ძმობისა!..

პირიქით, ბევრჯერ დაგმეს კიდეც
მისი ზნეობა

და გააქარწყლეს მთელი მისი
მოლვაწეობა.

„აბა რას როშავს? რატომ იწყვეტს
ნეტა ჩარასო?!
ჯკუას გვარიგებს! დახეთ ერთი
მეტიჩარასო!..
სულ არ ეტყობა იმას ნიჭის
ნატამალიო—
და კიდევ ბედავს—გაულესოს
ხალხს წამალიო!..
თან—გონიერათ სურს გვეჩვენოს
უგუნურიო—
და მეტიჩროობით მოიპოოს
ლუკმა პურიო!..“

ესმის მოლვაწეს ეგ სიტყვები
მკვლელი, მდაგველი—
და ეწვეთება გულში, ვითა
შხამი, ნალველი...

იმათ იგონებს, როცა შრომით
დაიქანცება,—
მის თავსა და გულს კვალად მწარე
ფიქრი აწვება.

ის ამბობს: „დაე მიძღვნან კიცხვა
შეუსაბამო,—

შეჩვეული ვარ, არ მსმენია
სიტყვა საამო...
გულს იგი მიკლავს, რომ მარადის
ადამიანი
დასაბამიდან არის გულქვა
და შხამიანი,
რომ გულწრფელობა, თუ სიქველე
და ამგვაროობა—
არავის სჯერა, არავის სწამს
უანგაროობა...
პირმოთნეობა, ცფიერობა
და სიძულვილი—
აი რით არის მთლათ ცხოვრება
დღეს აღჭურვილი.
ვინც ხალხსა სცარცვავს, ეცრუება
და ეფლიდება,—
მხოლოდ იმას აქვს საწუთროში
ქება-დიდება...
ხალხის ერდგული, პირდაპირი,
მოუსყიდველი—
დადის მარადის დაგმობილი,
შიშველ-ტიტველი.
ეს არის სოფლის გამოცანა
მარად უცვლელი,
ხალხის გამრყვნელი, ქვეყნის ერდგულთ
გულისა მწველი...
ღმერთო, შენ უწყი—არ ვეძიებ
ავლადიდებას,

ამაო ქებას, სახელისა
ცრუგანდიდებას...
რაც მოგიცია მცირე ნიჭი
ჩემთვის ზენასა,
მსურს – არ გავაქრო, მოვახმარო
ჩემს ხალხს, ენასა...
შეცთომებისთვის არვინ არის
ჯვარზე საცმელი:—
ადამიანი არ ყოფილა
შეუცთომელი...
დიდი არ ძალგვიძს—მცირე ძღვენიც
არ არს სირცხვილი:—
თვით შენ, უფალო, მიგითვლია
მადლობით წვლილი,—
და გეეედრები—ნაშრომიცა
ეს ჩემი მცირე
ჩემ თანამოძმეთ სასარგებლოთ
შენ "შეიწირე"...

და აქ ივიწყებს უსამართლო
პიცხვას და გმობას...
ქვლავ ხალხზე ფიქრობს, კვალად იწყებს
შრომის გაგრძობას.

IX

ქვამლმოქმედება.

აწყალი სანდრო ავათ გახთა, შრომამ დასძლია.
პატრონათა ყავს დამშეული წვრილი ცოლ-
შვილი; —
არსით აქიმი, არც წამალი არ გააჩნია, —
არ აყოფინა ბედმა იმას მწარე შიმშილი...

—

მის ვითარებას მოკლეთ გეტყვით, თუმც არის
გძელი:
ის განისწავლა საკუთარი ჯაფით და შრომით,
ბულში აენთო სიყვარული სამშობლოს ქველი, —
მის წარმატებით სცოცხლობდა ის, მის წინსვლის
ნდომით.

—

ბევრი დასთესა ხალხში სიტყვა ჭეშმარიტების,
სწერა და სთარგმნა ზნეობისა, ჭკუის გამწრთვნელი...
მარად ცთილობდა შემჩატებას მოძმეთ ტვირთების,
თუმც მასაც ტვირთს ქვეშ უსკდებოდა მარად ქვესკნე-
ლი.

—

აწ ავათ გახთა — დაქანცული, წელში გახრილი.
რა ქნას ბედკრულმა ცოლმა? რომელს ათხოვოს ყური:
ქმრის აქიმობას მოანდომოს თავისი წვლილი,
თუ პაწიები დააყუჩოს, უყიდოს პური?!..

—

— ძნეინა ნინო! ღვთის გულისთვის სანდროს
მიხედე!
ძველმოქმედების გამგე პირი შენა ბძანდები, —
მისი ცოლ-შვილი მხოლოდ მისი არს მოიმედე;
უშველე რამე, დატრიალდი, ნუ დაზარდები!..

— ძალიან ვსწუხვარ, მარგამ რა ვქნა, რომ არ
მცალია? —
მოსწავლეების სასარგებლოთ სალამოს ვმართავთ;
ცეკვა-გართობის იქ გაწყობა ჩემი ვალია, —
ბნებავს ბილეთი? იმედია, ხვალ იქა გნახავთ.

— მოსწავლეების? რა თქმა უნდა, კარგი საქმეა;
მაგრამ ნასწავლი რომ გვიკვდება, ეს არაფერი?
ეაცი გაწრთვნილი — სასარგებლო თუკი სადმეა,
ნუთუ უმწეოთ ჩავაძალლოთ, მოვკლათ მშიერი?
ეს მაინც ქენით: უნაწილეთ შემოსავალი,
რომ უაქიმოთ და უწამლოთ არ დაუშავდეს; —
ეაცობრიული შეასრულეთ მით თქვენი ვალი: —
ულვთოობაა — ქვეყნის ერდგულს შიმშილი კლავდეს.

— შემოსავალი?! ხა-ხა-ხა-ხა! შენა ბგონია —
რამე დაგვრჩება ხარჯებს გარეთ ჩვენ ამ სალამოს!?
მაგრამ პროგრამა, სწორეთ გითხრა, მოსაწონია:
ვერაფერს ნახავ, ვერც მოისმენ უფრო საამოს.
ცეკვა-თამაში, სიმღერები ათასნაირი,
ძალიშვილები, აფიცრები, სმა და შეჭცევა..

მოდი, თუ გინდა—დაივიწყო სევდა და ჭირი!..
იცი? დაგვპირდენ: დიდკაცობა ბლომათ გვეწვევა!..

—

—ოხ, ვერა, ვერა! უკაცრავათ, ვერ გიახლებით!
ძველმოქმედება ამნაირი ვერ გამიგია:
მშიერთ სახელით მაძღარნივე სტკბებით და თვრებით,
საწყალი ისევ საწყლათ რჩება,—ეს რა რიგია?!
მშვიდობით! აგერ ვასო მოდის: დავეკითხები,
ეგებ თხზულება შეიყიდოს მისი ახალი..
—ვასო, ძმობილო! სანდროს ამბავს გეტყოდენ სხვები:
უსაშვალებოთ, უპატრონოთ კვდება საწყალი...
მოდი აიღე, გამოეცი მისი თხზულება,—
ცოტა წინდაწინ უნაწილე მას სასყიდელი:—
თან მადლი არის, სულს მოითქვამს, განიკურნება,
თანაც შეიძენს ბევრსა რასმე მისი მკითხველი...

—

—წიგნი გამოვსცე? ფული კი მაქვს გადასაყარი?!
ბანა არ იცი, რომ წიგნს ჩვენში არვინ კითხულობს?!
რაც რომ დავბეჭდე, ხელუხლებლათ ისევ აქ არი
მაღაზიებში დაწყობილი,—არვინ ყიდულობს...
სმა და ქეიფი ძლიერ უყვართ: ერთ ბოთლ ღვინოში
მანეთს მისცემენ, მისთვის უკან არ დაიხევენ,—
მანეთის წიგნში კი რომ სთხოვო თუნდ ერთი გროში,
შეგიკურთხებენ, წიგნსაც თავზე გადაგახევენ...
ზოგს კითხვაც უყვარს, მაგრამ—მუქთათ როცა
შოულობს;—
დიდი საქმეა—ერთი წიგნი თუ შეიძინა:—

ხან ავტორსა სთხოვს, ნაცნობისგან ზოგჯერ თხოუ-
ლობს...
ჩვენი მწერლობა ასე მიდის, ძმობილო, წინა!..

—

წავიდა სანდროს მეგობარი გულდაწყვეტილი:—
ნახა—ამაო იყო მისი ყველა მუდარა...
სანდროს მკურნალათ ამოუჩნდა მხოლოდ სიკვდილი,
წამლათ—საფლავი, შავი კუბო, თეთრი სუდარა...

—

მაგრამ... ოხ, ვსცთები... როგორ არა? უსულო
გვამსა
ბევრი გაუჩნდა მოტირალი, ჭირისუფალი.
„სანდრო მოკვდაო"—ეს ამბავი მოსდვეს ერთ წამსა
სოფლებს, ქალაქებს,—შესძრეს ყველგან კაცი და
ქალი.

—

აი, კნეინა ნინოც აგერ ხალხში ჩამდგარა
და დატრიალობს, როგორც ჯარა, ოფლის დინებით:
„თქვენც გაიგებდით, ყმაწვილებო, სანდრო მომკვდარა,
უნდა შევამკოთ მისი კუბო ჩვენ გვირგვინებით!
სასახელოა მთელი მისი მოღვაწეობა,
სამშობლო მხარეს მსახურებდა ის ერდგულათო;
საჭირო არის მისთვის თქვენი დღეს შემწეობა,
რომ, ვით ეკუთნის, გავასვენოთ დიდებულათო!

—

და ასე სხვებიც აგროვებენ გვირგვინის ფულსა
და ამზადებენ უხვათ სიტყვებს სხვადასხვა წრეში...
მაშ რაღათ უნდა მეტი შვება აწ სანდროს სულსა?
მაშ რაღათ უნდა სანდროს ოჯახს მეტი ნუგეში?!..

X.

ოგოლი.

ანდროს მამა ადრე მოკვდა ბეჩავი;
დარჩა ანდრო მარტო დედისამარა;—
არ შორდებათ თვალზე ცრემლის კამარა,
გულში ცეცხლი, სევდა, ფიქრი ბნელშავი.

რა ქნას ბავშმა? რა ქნას ქვრივმა ტიალმა?
შვილი მამამ კლასში ობლათ დასტოვა;—
ქვრივ—ობლისთვის აწ დაზამთრდა, დასთოვა,—
ულალატა მათ საწუთროს ტრიალმა.

ქვრივი შრომობს, ქმრის ნაღვაწსა არ კარგავს,
თუმცა ჯაფა მისთვის გასაჭირია;
რგავს და თოხნის,—წყალი კი არ სჭირია:
ცრემლით, ოფლით რწყავს ნათოხარ-დანარგავს...

ანდროც შრომობს, შრომობს დღისით, ღამითა,—
სწავლის ჟინით არის გადარეული;
მაგრამ რა ქნას? არ აქვს წიგნი, რვეული,—
დარბის, დარბის, ვერ ისვენებს წამითა.

Ამხანაგთან მირბის, სწავლობს გაკვეთილს;
მასპინძლისკენ მერე მოეშურება,—
ბინისათვის იმას ემსახურება:—
რა ქნას? ფული არ აქვს სასოწარკვეთილს...

ბინა!.. მაგრამ ნახეთ აბა, რაც ცარი:
პაწაწინა საკუჭნაო შავბნელი,
უსინათლო, არსაიდან სარკმელი
და უბუხრო მთელი ზაფხულ-ზამთარი!..

ხარჯს უზიდავს თვითონ ქვრივი საწყალი
(კიდევ კარგი, ახლოს არის სოფელი):
თვეში ფქვილი ერთი ფუთი და ყველი
ერთი წველა, კვერცხი ათი კაკალი...

რა ქნას ქვრივმა? საქმე არსით ეწყობა,
თვარა განა შვილისათვის დაზოგავს?
ხხვა ვინღა ყავს? მისთვის შრომობს, დაღლილავს,
თვით ბევრს იკლებს—ტან-სახეზე ეტყობა...

სანამ მზის სხივს სითფო შეემჩნეოდა,
მადლობა ღმერთს, კიდევ არა უშავდა:—
ნაფლეთებში ანდრო წარბს არ ხუშავდა,
სწავლის უღელს ხალისით ეწეოდა.

მაგრამ მალე დადგა მკაცრი ყინვები.
ანდროს თხელი ბლუზა შემოგლეჯია,

მის ძველ წულებს პირი დაულრეჯია...
შინ, შინ იყავ, ანდრო,—გაიყინები!..

ანდრო მირბის, ყინვას არ ეპუება;
ხელსა იდებს გამოფლეთილ უბეში...
ცთილობს—დედას არ მოაკლოს ნუგეში,
თანაც მამის ხსოვნას ვერ ეცრუება!

მაგრამ ბოლოს გაჭივრებამ დასძლია;
ჩანს—გაცივდა: ხველა დააწყებია;
აღარც ხორცი—ცარიელი ძვლებია,
აღარც ფერი—თითქო სისხლი დასცლია...

უპატრონეთ, აბა ვინ ხართ კეთილი!..
რომ იცოდეთ, რა კოჩაღი ბიჭია!
მომავლისა ერთი კარგი ბიჯგია...
შეიბრალეთ ეგ სასოწარკვეთილი!

რას დაეძებთ, რომ ის ქვრივის შვილია?
ეგ საწყალი ქვრივი წარმავალია,
და ანდრო კი ჩვენი მომავალია:—
მამულს არგებს, ვინც რომ გამოზდილია!

ოხ, რამდენი ღარიბია, იცოდეთ!
სწავლას ეტრფის, კარგაცობა სწყურია,
ლონე არ აქვს—და მით უბედურია...
შეეწიეთ, შეიბრალეთ, იცოდეთ!

მკოდნე-წრთვნილი წუთისოფლის თვალია,
უსწავლელი მდიდარს დააღარიბებს...
მაშ ასწავლეთ, შეეწიეთ ღარიბებს!
შეძლებულნო, ეს მთლათ თქვენი ვალია!

XI.

ქ ა რ თ ვ ე ლ ი ა *)

ადლობა უფალს! ძლივს გაგვიშუქდა
ქრული ცხოვრება ბნელლამიანი:—
აწ რალა გვიჭირს, როს ამდენი გვყავს
განათლებული, დიპლომიანი!..

ყური დაუგდეთ იმათ ლაპარაკს,
თუ გსურთ—დაიტკბოთ გული და სმენა:—
სიტყვა რა არის—ტყვილა წამლათაც
არ წამოსცთებათ ქართული ენა!..

სულ უცხო ენას ლაპარაკობენ,—
განათლებულან, მადლობა ღმერთსა!..
რა შავ ქვათ უნდათ თქვენი ქართული?
ქუჩს ვერ გაუძღებს იგი ვერცერთსა...

---

*) აქვე ვაცხადებ, რომ ჩვენთვის აუცილებლათ საჭიროა როგორც სახელმწიფო ენის ზედმიწევნით ცოდნა, ისე უცხო ენების შესწავლაც. ეს ლექსი კი მხოლოდ იმათ შეეხება, ვინც უკადრისობს დედაენაზე ლაპარაკს, ვინც—მოითხოვს გარემოება თუ არა—ყოველთვის გვერდს უვლის თავის სამშობლო ენასა და ლიტერატურას.

თუ ლუკმა პური კი გაიჩინეს,
აბა ქართული რა სათქმელია?!
თუნდ არ იცოდეს სამშობლო ენა,
შთამომავლობით ხომ ქართველია?!

აი ნასწავლი ქალებიც აგერ
დასეირნობენ, მუსაიფობენ;
იმათი ენა არ დაწუნარდება,
თვით ერთობიან, სხვებსაც ართობენ.

მთა-ბარს ერთ წამსა გადაგიშლიან,
ქვეყნის ჭორებსა დაალაგებენ,—
მაგრამ ქართულათ თქმა რო მოსთხოვოთ,
ბაკვირვებითა პირს დააღებენ.

ქართული ენა? აბა რას ბძანებთ!
ეს რა იმათი საკადრისია?!
იმათ ნაზ სმენას მხოლოდ ის ატკბობს,
რაც რომ უცხოა, რაც რომ სხვისია!..

წიგნი (რომანი, რაღა თქმა უნდა!)
ათასი მაინც კი წაუკითხავთ,—
მარგამ ქართული ერთიც კი არა...
ბარგათ უქნიათ, თუ მართლა მკითხავთ!..

ქართული ენა, ქართული წიგნი,
რუსთაველისა რაღაც შაირი!..

რათა, როდესაც ასარჩევათ აქვთ
ევროპიული ათასნაირი?!..

აბა რათ უნდათ? დიდი საქმეა,
თუ დაივიწყეს სამშობლო ენა!
მადლობა უფალს! განათლებულან
ჩვენი ქალები, მოგეცათ ლხენა!..

თქვენ ქართველობა მათი არც გჯერათ...
რატომ? ღმერთმანი საკვირველია!
ბინდ დაიჯერეთ, გნებავთ—ნუ გჯერათ:
ღმერთს გეფიცებით, სულ ქართველია!..

ბთხოვთ—ქართველისა ოჯახიც ნახოთ,
ბიგ შემოპძანდეთ ერთი წამითა;
მის განათლებას როცა იხილავთ,
მჯერა—დასტკბებით თქვენ სიამითა!

— — —

ქართველი დედა აგერ შვილს უზის,
უცხო ენითა ესაუბრება;
ქართულათ სიტყვას არ ათქმევიებს,—
თუ რომ წამოსცთა, სტუქსავს, უწყრება!..

აი, სტუმრებიც ეწვიენ, დასხდენ
და საუბარი გააბეს რთული...

ღმერთო, რარიგათ განათლებულან:
არ წამოსცთებათ სიტყვაც ქართული!

უცხო წიგნები, ჟურნალ-გაზეთი
ყოველნაირი აქ იშოება...
დახეთ, რარიგათ განათლებულან:
ქართული წამლათ არ იპოება!

ამ ხალხს ქართველათ თქვენ ვერც კი იცნობთ,
ყურს რომ დაუგდებთ, უეჭველია,—
მაგრამ გარწმუნებთ, ღმერთს გეფიცებით—
თავით ბოლომდი სულ ქართველია!

და ეს პაწია მამულიშვილიც
ამ განათლებულ წრეში იწრთვნება!..
წინ წავა ჩვენი ენა, მწერლობა
პროგრესიულათ, მაშ რა იქნება?!

სხვადასხვა ლექსები
⁊
შენიშვნები.

მიჯნურის ქვნესა.

„მთაო, გადმიშვი, გადმიშვი,—
რას ნისლი მოგიხვევია?
შენს იქით ჩემი მიჯნური
ცხოს ვისმე გადახვევია“.
ხალხური.

მთაო, გადმიშვი, გადმიშვი,—
რა ნისლი მოგიხვევია!
შენს იქით ჩემსა მიჯნურსა
სხვა ვინმე გადახვევია.

—

მთაო, გადმიშვი! მოსისხარს
ბრძოლას ავუტეხ ცხარესა:
ან შევაკვდები, ან მოვკლავ,—
დავიხსნი ჩემსა მთვარესა!

—

მაგრამ ვაითუ მიჯნურმა
ბამცვალა თვისი ნებითა—
და თავის ახალ სატრფოსა
ბულში ეკონვის ვნებითა...

—

მაშინ ამ ბასრი ხანჯლითა
ბულ-მკერდს გავუპობ ტრფიალსა—
და საწამლავათ შევუცვალი
ნეკტარით სავსე ფიალსა!

Ბადმიშვი, მთაო, გადმიშვი,—
რა ნისლი მოგიხვევია?!
Ვსცნო, მოსისხარი ძალითა.
Თუ ნებით გადახვევია..

ქვიშხეთის მთებში.

Ეთის წვერზე ვდგავარ. ჩემი სისწორით
სქელი ღრუბლების მოჩანს გუნდები,
და ჩემს გარშემო — მთების მწვერვალნი,
შავათ მოსილი სულ მთები, მთები...

—

მთა მთასა მისდევს, მთა მთას აწვება,
ძიდით კიდემდი ძლივს ეტევიან,
ულგადაჭდობით დედაშვილურათ,
დაძმურათ ურთერთს გადახვევიან.

—

სძინავს დედამთას შუაგაწოლილს,
თავი ღრუბლებში აუწევია,—
მას პაწა მთები, ვით დედას შვილნი,
გარშემო ტანზე შემოსევია.

—

სძინავთ,—ზაფხულის გრილი ნიავი
ტკბილსა ნანინას ეჩურჩულება...
არარა არღვევს მათ მყუდროებას,
დამტკბარი არის მთელი ბუნება.

—

მძინარე მთების კალთებს და ფერხთა
ეამბორება ალერსით მტკვარი—
და ჰაერისა ციურ ნანინას
მისი დუდუნი ერთვის დამტკბარი:

„თვალთმაქცო მთებო,
ბასაოცებო!
ძილი ნებისა და მოსვენება!
მიყვარხართ გულით!..
სახით ზღაპრულით
ვის არ მოხიბლავს თქვენი შვენება!..
მოგიძღვნით სალამს—
უხვ ცვარსა და ნამს:
ბულზე იპკურეთ სასიყვარულოთ—
და გაიხარეთ
თქვენთა მოყვარეთ
სულის სატკბობათ, სასიხარულოთ“...

—

ამოდის მთვარე. მთების თვალწარმტაც
სახეს და გულ-მკერდს შეშტერებია.
სდუმებს ფერმკრთალი: ჩანს—მათი ტრფობით
ბულისა ცემა შეჩერებია.

—

რა ვერ გაუძლო მხიბლავ შვენებას,
მთვარე შორდება ნელნელა მთებსა—
და რომ იხილავს მტკვარს მოდუდუნეს,
თვალს გააყოლებს იმის ზვირთებსა.

—

მტკვარი შესცქერის ცისა მნათობსა,
დიდხანს შეყურებს ჩაფიქრებული...
ბოლოს შეკითხავს ნაღვლიანი ხმით,
თან სევდიანი უტოკავს გული:

„მნათობო ცისა,
დედამიწისა
შემ თანამგზავრო! სთქვი, თუ გწამს ღმერთი,—
მრავალგზის დღემდი
კიდით კიდემდი
შემოგივლია მთელი ხმელეთი,—
მთები და ბარი
შენ ყოველგვარი
ბაგიკვლევია, გადაგილახავს—
და ამებრ მშვენი,
სულის მალხენი
სხვა მხარე სადმე კიდევ გინახავს?!..
ცხადია—არა!..
მაგრამ არ კმარა
მარტო შვენება ეს გარეგანი—
და სთქვი: გამჩენმა
უფალმა ჩვენმა
აქ რათ დასტანჯა ადამიანი?

— — —

ოხ, მთვარევ, მითხარ...
ღმერთთან ახლოს ხარ,—
მისი განზრახვა გეცოდინება:
ქართველთ ზნეობას,
სულის მზნეობას
არ ეღირსება აღორძინება?“

—

ბადაჭრილ პასუხს აძლევს მას მთვარე,
ვითა დინჯ მსაჯულს შეეფერება:

„წინსვლისა ნდომით,
ოფლის ღვრით, შრომით
მოიპოება ბედნიერება!“...

—

მეტი ნუგეში არ ესმის მტკვარსა,—
ლრუბლებში შედის გულწყლული მთვარე...
სძინავს კვლავ მთებსა, სძინავს სოფლებსა...
დადუმებულა მთლათ არემარე.

—

სდუმებს მთაწმინდაც, საღვთო სავანე,
აწ დანგრეული, დამიწებული;
დასაქერის სოფლებს, ვით უცხო მხარეს,
ბულჩათუთქული, დავიწყებული.*)

—

მხოლოდღა მტკვარი ჭალებისაკენ
მიიზლაზნება — მრავალწყლიანი,—
მთა-ბარს ბურანში ესმის დუდუნი
მისი ხან ტკბილი, ხან ნაღვლიანი...



*) სოფელ ქვიშხეთს დასავლეთის მხრით დაყურებს მთა-
რომლის მწვერვალზედაც სდგას ქვით აშენებული პაწია, მე-
ტათ დაბალი სამლოცველო. მე თვითონ დავათვალიერე ის
1901 წლის 11 ივლისს. ორი-სამი კაცი ძლივს მოთავსდება-
შიგ და ფეხზე დამდგარი კაცის თავი ჭერსა სწვდება. შიგნით
ასვენია რამდენიმე ხატი და აწყვია ცრუმორწმუნეთაგან შენა-
წირავი ნალების ნამტვრევები. ხალხი ამბობს, რომ აქ ცხოვ-
რობდა და ლოცულობდა წმ. გიორგიო. ეს ადგილი წმინდა
ადგილათ მიაჩნიათ და ხშირათ დადიან იქ სალოცავათ; ამ მთას
მთაწმინდა ეწოდება. ამჟამათ სამლოცველო და მისი არემარე
წარმოადგენს მ ყრუებულს, გაევრანებულ ადგილს. ადგილობ-
რივი მცხოვრებნი აპირებენ იქ მალე რიგიანი ეკლესიის აშენებას.

ტუეს.

ამტკბობო ჩემი გრძნობისა,
ნეკტარით სავსე ფიალო!
ტყეო, სულ შენკენ მოვილტვი,
მარად უცვლელო ტრფიალო!

* * *

როს მწამლავს შხამით ალსავსე
ხალხის შფოთვა და ხრიალი,—
სულს მიტკბობს, სევდას მიქარვებს
შენი პიბინი, შრიალი.

* * *

იქ მოძმე მოძმის ხანჯალსა
ძმის მტრობით გადახვევია,—
აქ კი საყვარლათ ძირი ძირს,
რტო რტოსა გადახვევია.

* * *

ფოთოლი ფოთოლს ულიმის,
ქოცნის და ეალერსება,
ეჩურჩულება ტკბილ ხმებსა,
ხახე სიცოცხლით ევსება...

* * *

ხარბათ შევსცქერი მათ ხვევნას,
ჟურს ვუგდებ მათს ტკბილ ენასა—
და ნეტარებით ავსებენ
ჩემს გულსა, ჩემსა სმენასა...

***

მიყვარხარ, ტყეო, მიყვარხარ, —
შენა ხარ ჩემი ნუგეში...
მსურს—მარად გულში გეხვიო,
ვიყუჩო შენსა უბეში.

ჩემი წინადადება ქართული ლექსიკონის შემუშავების შესახებ.

ვერ მეოცე საუკუნე დადგა—და, ჩვენდა სასირცხოთ, დღემდი არ მოგვეპოება იმისთანა ლექსიკონი, რომ ლიტერატორს, განსაკუთრებით მთარგმნელს, შეეძლოს შიგ ყველა საჭირო ცნების გამომხატველი სიტყვების პოვნა; განსაკუთრებით არა გვაქვს გამოკვლეული ზოოლოგიურ-ბოტანიკური ლექსიკონი.

ჩვენს ლექსიკოგრაფებს, მეტადრე საბა-სულხან ორბელიანსა და დავით ჩუბინაშვილს, დიდი შრომა, დიდი ღვაწლი მიუძღვისთ ჩვენი მწერლობის წინაშე თავისი ლექსიკონების შედგენით; მაგრამ იმათ ში იმდენი შეცთომა მოიპოება, ისე არეულია იქ ხშირათ სხვადასხვა ცნებათა სახელწოდებანი, რომ ისინი დღეს მხოლოდ მასალათ არიან გამოსადეგარი, რიგიანი ლექსიკონის როლს კი ვერ შეასრულებენ.

დროა—ჩვენი მწერლობის მოყვარულნი, მისი წარმატების მსურველნი ამ საგანზე დაფიქრდენ და ეს საგრძნობელი ნაკლულევანება დღეს მაინც შეავსონ.

ლექსიკონის შესადგენათ შემდეგი მასალებია საჭირო: 1) ჩვენთა ძველთა და ახალ მწერალთა თხზულებანი, დაბეჭდილი და დაუბეჭდავი; 2) სახალ-

ხო სიტყვიერება (ხალხური ზღაპრები, არაკები, ანდაზები, ლექსები;) 3) ჩვენი ხალხის თანამედროვე ცოცხალ ენაში სახმარებელი ტერმინები და სხვადასხვა სახელწოდებანი.

ᲣᲕᲔᲚᲐ ამ მასალის შეკრებასა და შემუშავებას იმდენი შრომა სჭირია, რომ ერთი კაცი ამას ვერ შეასრულებს, რაც უნდა დიდი ენერგიის მექონი იქნეს; ამ საქმისთვის საჭიროა ენის მცოდნე კაცთა მთელი კრებულის ენერგიული შრომა.

ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲚᲐᲗ უნდა მოიძებნოს ნივთიერი საშვალება ამ საქმის მტვირთველთა სასყიდლისათვის. ᲡᲐᲥᲛᲘᲡ მეტისმეტი დაუდევრობა იქნება, დროთა ვითარებას გულხელდაკრეფილი შევყუროთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ამხელა საქმე თავისთავათ, უსასყიდლოთ, პლატონიური სიყვარულით გაკეთდებაო. ᲠᲐᲪ უნდა შეგნებით გვიყვარდეს საქმე, იმდენი საკუთარი საშვალება არ მოგვეპოვება, რომ რამდენმე წელიწადს უსასყიდლოთ ვიშრომოთ; ამიტომ უანგარო სურვილი და მისწრაფება დიდხანს ვერ გაგვიტანს; საქმის სიყვარული კი და მასთან მცირეოდენი მაინც ნივთიერი ჯილდო, ერთათ შეერთებული, ყოველთვის ლელოს გაიტანს, რაც უნდა მძიმე საქმე იყოს — კეთილათ დააბოლოებს.

ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲘ საშვალების მოპოება კი ნაწილ-ნაწილათ, საზოგადოებაში თითო-ოროლა მანეთის შეკრებით მოუხერხებელია, რაიცა მრავალჯერ დაგვიმტკიცა პრაკტიკამ. ᲣᲕᲔᲚᲐᲡ ისა სჯობია, რომ ერთი ვინმე შეძლებული კაცი იკისრებდეს ამ სასიქადულო

საქმის ხარჯს; შეიძლება ორი-სამი ფულიანი კაციც შეერთდეს და გაინაწილონ ერთმანერთ შორის, რაც ამ საქმეზე დაიხარჯება. მერე რა სასიქადულო, რა საშვილიშვილო საქმეა! ხალხის ზეპირსიტყვაობის შეკრება, ხალხური ტერმინების შეგროვება, მეცნიერულათ გამოკვლეულის, კარგი სამწერლო ენით განმარტებული ლექსიკონის შედგენა და დაბეჭდვა,— ეგ იმისთანა დიდებული საქმეა, რომ საუკუნო სახელოვან ძეგლს დაიდგმენ ის პირნი, რომელნიც მას სისრულეში მოიყვანენ!..

მართალია, დახარჯული ფული ამ შემთხვევაში უკანვე აღარ დაუბრუნდება ფულის პატრონს (მცირე ნაწილს გარდა, რომელიც დაბეჭდილი ლექსიკონის გაყიდვით ამოიგება),—მაგრამ განა ცოტა ფული ეფლანგებათ ხშირათ სრულიად ამაო—უსარგებლო საქმეში? და განა დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს შეგნებული ადამიანისგან ის ფული, რომლითაც ფრიად საგრძნობელი საერო საქმე კეთდება?! განა დაკარგულათ უნდა ჩასთვალოს თავმოყვარე ადამიანმა ის ფული, რომლის საშვალებითაც ის შთამომავლობის ხსოვნაში სასახელო ძეგლს იდგამს?! ნამდვილ მამულიშვილს ყოველთვის უნდა ახსოვდეს რუსთაველის სიტყვები: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“-ო.

რადგან კერძო წრე არ არის იმდენათ სანდობი ამ ძნელსა და რთულ საქმეში, ჩემი აზრით უმჯობესი იქნება—ფულის შემწირველნი საჭირო თანხას მიანდობდენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ-

ცელებელი საზოგადოების“ გამგეობას და იმას აკისრებდენ ამ საქმის გაძღოლას.

ჩემი აზრით, ჩვენი ლექსიკონის შემუშავება ასე უნდა მოეწყოს:

1) საქართველოს სგვადასხვა კუთხეებში უნდა გაიგზავნოს ერთსა და იმავე დროს რამდენიმე კაცი ხალხის ზეპირსიტყვაობისა და ტერმინების შესაკრებათ. ეს საქმე ყველაზე უფრო ადვილი მოსახერხებელია ზაფხულობით: ამ დროს ყოველწლობით ორსამ თვეს თავისუფალი არიან მასწავლებელნი, რომელთაც მცირე სასყიდლით შეუძლიათ იკისრონ ეს შრომა. იმათ ხელში ექნებათ წინდაწინვე შემუშავებული დაწვრილებითი პროგრამა სახალხო სიტყვიერების შესაკრებათ — და ამ სახით შეკრებილ მასალას წარუდგენენ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას;

2) ამავე დროს რამდენიმე კაცისგან შემდგარ კომისიას უნდა მიენდოს შეგროვებული მასალების (დაბეჭდილი წიგნების, წ.-კ. საზოგადოების ბიბლიოთეკის ხელნაწერებისა და ხალხში შეკრებილი მასალების) განხილვა, იქიდან ლექსიკონისათვის საჭირო ცნობების ამოწერა და ლექსიკონის შედგენა.

ამნაირათ ორი დიდი საქმე გაკეთდება: შეიკრიბება ხალხური სიტყვიერების ყოყელგვარი მასალა და შედგინდება რიგიანი ვრცელი ლექსიკონი. ორივე ეს საქმე მეტათ საჩქაროა და დიდათ საჭირო ქართული ენის წარმატებისათვის.

მივმართავ ნივთიერათ შეძლებულ ქართველთ ამ ჩემი წინადადებითა და მხურვალე თხოვნით, რათა არ დასტოვონ ეს ჩემი მცირე ხმა „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“.

როგორ უნდა ვასწავლოთ ქართული ენა ჩვენს ახალგაზდობას?

ერიდი განმარტება არ სჭირია იმას, რომ ქართული ენის სწავლების საქმე დღეს მეტათ ცუდ მდგომარეობაშია: შკოლებში ზოგან სრულიად არ აქვს იმას ადგილი, ზოგან კი ასწავლიან, როგორც საგანს, პირველ ორ-სამ წელიწადს,— ესე იგი დანიშნულია ქართული ენისათვის კვირაში თითო საათი, ისიც უმეტესათ მეექვსე გაკვეთილი,—მაგრამ ყმაწვილებს ყოველივე ხალისი მისი სწავლისათვის დაკარგული აქვთ, რადგან ამ საგანს არავითარი გავლენა არ აქვს ყმაწვილთა სწავლის წარმატებაზე. ამ უხალისობის მიზეზი ხშირათ მასწავლებელნიც არიან: ისინი უგულოთ, მოუნდომებლათ ასწავლიან, რადგან ჯამაგირი მცირე აქვთ და არც სამსახური ეთვლებათ.

ამგვარი სწავლებით ქართული ენა შორს ვერ წავა—და საჭიროა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენს შვილებს სახელმწიფო ენასთან სამშობლო ენაც შევასწავლოთ.

ჩემი აზრით, შკოლის იმედი ამ შემთხვევაში, აღნიშნულ მიზეზთა გამო, უნდა უარვყოთ და თვით ჩვენს ოჯახებში დავუდვათ მკვიდრი საფუძველი ქართული ენის სწავლებას.

Უმთავრესი დანაშაული იმისა, რომ ჩვენი ახალგაზდობა სამშობლო ენის სწავლას ნაკლებათ ეტანება, თუ მკითხავთ, თვით მშობლებს მიუძღვისთ. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ სააზნაურო შკოლაში ეგზამენზე მოუყვანიათ თოთხმეტ-თუთხმეტი წლის ბავში, რომელსაც ქართული წერა-კითხვა თითქმის სრულიად არა სცოდნია—და მშობლებს უთქვამთ ხოლმე: გიმნაზიისთვის ვამზადებდით და ქართული იმიტომ არ გვისწავლებიაო!.. ნუთუ შესაწყნარებელია ამნაირი საქციელი?! ნუთუ დღემდი ვერ შევიგნეთ, რომ სამშობლო ენის ცოდნა უცხო ენის შესწავლას ხელს კი არ უშლის, პირიქით—ძლიერ ეხმარება?!

ძველათ ჩვენში სასწავლებელი ბევრი არ ყოფილა, მაგრამ ქართული ენა თვით ოჯახებში ისწავლებოდა: ზედმიწევნით ასწავლიდენ საეკლესიოსა და საერო წიგნებს—და ამიტომაც ხშირათ გამოდიოდენ ქართული ენის კარგი მცოდნენი. ჩემი აზრით, ეს ჩვეულება დღესაც დიდათ გამოსადეგია ჩვენი ცხოვრებისათვის, და საჭიროა—ჩვენს ოჯახშივე დავტრიალდეთ, ჩვენვე ვიზრუნოთ—ოჯახშივე შევასწავლოთ ჩვენს შვილებს დედაენა. ვისაც ცოტაოდენი ნივთიერი შეძლება აქვს, ამ საქმისათვის არ უნდა დაიშუროს ქართული ენის მცოდნე მასწავლებლის დაქირავება თავისი შვილებისათვის; ვისაც ეს არ შეუძლია, რიგიანი წიგნები აკითხოს ბავშებს და მით აუძრას ყმაწვილს დედაენის სიყვარული, მისი შესწავლის სურვილი. რომელიმე საგნის შესასწავლათ

ყმაწვილისათვის პირველი საქმეა ხალისი, წყურვილი, სიყვარული; თუ რომ ყმაწვილს ეს გრძნობები, ეს ემოციები გულში თავიდანვე გაღვივებული ექნება, ის მომავალში, ენის პრაკტიკულათ შესწავლას შემდეგ, მის თეორიის კანონებსაც ადვილათ შეითვისებს.

თუ რომ გულით მოვეკიდებით ამ საქმეს, ახლო მომავალში ძველებურათ გაჩნდებიან ჩვენს ოჯახებში ქართული ენის მცოდნე მშობლები და მერე თვით ისინი ასწავლიან შვილებს სამშობლო ენას, მასწავლებლის დაქირავება აღარ დასჭირდებათ.

რა თქმა უნდა, ამასთან აუცილებლათ საჭიროა — ცხოვრებაში, ერთმანეთთან საუბარში არ მოვაკლოთ ჩვენს ენას პრაკტიკული ვარჯიშობა. ენა მხოლოდ პრაკტიკულ ხმარებაში ვარჯიშობს, სხვადასხვა საგნებზე საუბარში უნებლიეთ, შეუმჩნევლათ ითხზვება სხვადასხვა ტერმინები, იწმინდება ფორმები, მშვენიერდება ფრაზეოლოგია, — ერთი სიტყვით — პროგრესიულათ წინ მიდის ენა...

ვისაც თავისი მშობლები გულწრფელათა და შეგნებულათ უყვარს, ის სხვის მშობლებსაც პატივისცემით მოეპყრობა; ვისაც თავისი ენა შეუტკბია და შეუგნია, ის სხვის ენასაც ხალისით შეისწავლის.

მაშ პოეტთან ერთათ ჩვენც ასე შემოვსძახოთ:

„სამშობლო ენავ, ვერ დაგივიწყებთ!
სანამდი პირში გვიდგია სული,
შენი ტახტია, შენივ სამარე
შეურყეველათ ეს ჩვენი გული!“

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო შკოლის გამო.

ეს მეორეთა ვარ სოფელ წინამძღვრიანთკარში, მეორეთ ვსტკბები პატივცემულის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილის საშვილიშვილო დვაწლის—მის მიერ დაარსებულის სამეურნეო შკოლის—პირისპირ ხილვით.

თუთხმეტ—ოცდესეტინაზე გადაჭიმულა შკოლის ფერმა, რომელშიც მოთავსებულია სასოფლო მეურნეობის ყოველგვარი დარგი: მევენახობა, მებაღობა, მებოსტნობა, მეფუტკრობა. შკოლის ფერმის მახლობლათ სოფლელებსაც აქვთ ზვრები და ხეხილის ბაღები,—მაგრამ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის! შკოლის ფერმაში დიდრონი ტევნებით დატვირთული მკლავის სისხო ვაზები, უხვათ მოსული ბოსტნეული, რიგზე ჩამწკრივებული კარგათ მოვლილი ხეხილი სულსა და გულს უტკბობს მხილველთ; სხვა ბაღებში კი მოუვლელობა და მის გამო მოუსავლობა პირდაპირ ეცემა კაცს თვალში უსიამოვნოთ... კარგი მაგალითი ცხოვრებაში კარგი მასწავლებელია; მაგრამ ამ კურთხეულ ამერეთში როგორღაც მეტათ დინჯი ხალხია—და მამა-პაპის ჩვეულებას ისე ადვილათ ვერ ელევიან...

სასიამოვნო სანახავია ფერმის ყოველივე ნაყოფი — და ყველა ეს თითქმის მარტო მოსწავლეთა ხელით არის გაკეთებული, რასაკვირველია — მასწავლებლის ხელმძღვანელობით. შკოლის ოთახებში მეურნეობის თეორიას ეცნობიან ჩვენი მომავალი მამულიშვილები, მერე ფერმაში გამოდიან და პრაკტიკულათ სწავლობენ ბუნებასთან ბრძოლას, მიწის განაყოფიერებას, აღმზდელ დედათ მის გადაქცევას, გამოყენებას...

ღმერთო, როგორ დაგვეხმო ისე გონება, რომ ამ უბრალო საქმეს ვერ მიმხვდარვართ! ძართველები რომ სოფლებს მოშორდენ, მათ რომ მიწაწყალი ხელიდან გამოაცალოთ, ნუთუ შეუძლიათ — კადევ შეირჩინონ ქართველობა, თავისი ენა, თავისი ეროვნული სახე?! ნუთუ უმიწაწყლო ქართველები, მარტო არშინისა და კანცელარიის მოიმედენი, იგივე ებრაელები არ იქნებიან, მოფანტულნი „პირსა ყოვლისა ქვეყანისასა“?!

ძართველ ხალხს უძველეს დროშივე, აუარებელ მტერთან ბრძოლაში, საკუთარი მიწაწყლისა და მამაპაპეული ქოხმახის დაცვა ამხნევებდა; შემდეგ, მეოთხე საუკუნიდან, თვითარსებობის ამ უმთავრეს სტიმულს მეორე სტიმულიც მიემატა, — სარწმუნოება. ღღეს სარწმუნოებისთვის ბრძოლა აღარ გვჭირია, მაგრამ მიწას კი თვით ჩვენ ველევით ადვილათ, რადგან ჩვენი უცოდინრობისა გამო ის საკმაო ლუკმა პურს ვერ გვაძლევს... რა თქმა უნდა — ეს ავათმყოფობაა, წამლობა სჭირია — და ამ სენის წამალია სამეურნეო ცოდნის გავრცელება ჩვენს ხალხში.

ბევრმა ჩვენმა მოღვაწემ ისიც კი არ იცის, რომ, თუ დღემდი ჩვენი ენა და ეროვნული სახე რამდენათმე მაინც დაცულია, ამას უნდა ვუმადლიდეთ სოფლის ხალხს, რომელიც მიწას ჩირჩნის, მიწას არ ეშვება, საკუთარ სახლკარს ხელიდან არ უშვებს, თუნდ მისი მიწა ერთი კვალი იყოს, თუნდ მისი ბინა საცოდავ ქოხს წარმოადგენდეს...

საწყალმა სოფლელმა, თავისი მკლავისა და ხარ-ურმის მოიმედემ, ურემზე წამომჯდარ-წამოწოლილმა, ამოკვნესა დამალონებელი, გულის გამგმირავი „ურმული"; თავისი ნაშრომ-ნაჭირნახულევით გახარებულმა სოფლელმა შეთხზა გულის გადამხალისებელი „ხელხვავი"; სოფლის ხალხმა გამოიგონა ათასნაირი სასიმღერო ხმა, სიტყვები, ფორმები... მე არ ვიცი, რა ენით მოლაპარაკე ვიქნებოდით დღეს ურიკხვ მტერთა წყალობით, მათ ხანგრძლივ გავლენას ქვეშ, რომ სოფელს თავისი მძლეთამძლეობა არ გამოეჩინა, მეურნე ხალხს რომ არ შეენახა შეძლებისდაგვარათ წმინდათ ჩვენი ენა, ჩვენი „ტკბილ-ქართული"!..

რა თქმა უნდა, საზოგადო განათლების მექონი კაცებიც გვჭირია ცხოვრებასთან ბრძოლაში, მაგრამ ეს ერთმხრივი მიმართულება, მეურნეობისადმი უყურადღებობა ჩვენი სოფლის დამღუპველია და საბოლოოთ ჩვენი ენისა და ერის გამქრობ-გამანადგურებელი...

ამ მხრით დიდ სამსახურს უწევს ბ. ილია წინამძღვრიშვილი ქართველ ერს. მისგან დაარსებული შკოლა ჯერ ნორჩია, მაგრამ, როგორც მისი დაბეჭ-

დილი ანგარიშიდან ჩანს, ბევრი მუშა ხელი მიუწოდებია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისთვის: ზოგი თავის მამულს მუშაობს, ზოგი ჩვენი მემამულეების ადგილ-მამულს აწარმოებს — და ამ სახით შეაქვთ, შეძლებისდაგვარათ, სამეურნეო ცოდნა ჩვენს ყრუ სოფლებში და მასთან თავსაც რიგიანათ ირჩენენ.

არ შეიძლება განცვიფრებითა და სიხარულით არ აივსოს გულწრფელი ქართველი, როცა ბ. ილია წინამძღვრიშვილის მოქმედებას გაითვალისწინებს. ეს ჭეშმარიტი მამულიშვილი თვალსაჩინოთ გვიმტკიცებს, რომ პატარა საშვალებით შეიძლება კაცმა დიდი საქმე გააკეთოს, თუ რომ გამსჭვალულია საქმის წრფელი სიყვარულითა და მტკიცე ენერგიით. ბ. წინამძღვრიშვილი არაოდეს არ ყოფილა ფულით მდიდარი, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მთელი დაბა მოუშენებია თავისი სასწავლებლისათვის: დიდი დარბაზი შკოლისათვის, მოსწავლეთა საცხოვრებელი ბინა, სამი მასწავლებლისათვის სადგომი, სახელოსნო, რიგიანი სარდაფი — და ყველა ამასთან კიდევ დიდებული ტაძარი, რომელზედაც ადგილობრივ მგოსანქალს, ფშაველ ბაბალეს, მის კურთხევის გამო ლექსი შეუთხზავს და სამართლიანათ უთქვამს: „დაუდგამ ეკლესიაი, — გუმბათი სწვდება ცასაო“!

სრული თანაგრძნობის ღირსია ბ. ილია წინამძღვრიშვილისაგან დაწყებული საქმე და სიყვარულისა და დიდების — თვით ბ. ილია წინამძღვრიშვილი. ამ გონიერ მამულიშვილს შეუგნია ჩვენი ქვეყნის ნამდვილი მოთხოვნილება და მის განსახორციელებ-

ლათ მთელი თავისი ავლადიდება შეუწირავს და კიდევ თავისი პირადი შრომით ნაშოვარსაც ზედ ადებს ისე, რომ ხშირათ თავისთვის ბევრს რასმე იკლებს, და შკოლას კი ცთილობს—არაფერი მოაკლოს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ჯერჯერობით არ არის სრულიად უზრუნველყოფილი შკოლის მომავალი არსებობა ნივთიერი მხრით—და იმედია—ბ. წინამძღვრიშვილი ამ მხარეს საეჭვოთ არ დასტოვებს. თფილისის სააზნაურო ბანკი ცოტა შემწეობას აძლევს დღესდღეობით ამ შკოლას, მაგრამ ეს არ კმარა, და საჭიროა—საზოგადოებამ მომეტებულათ იზრუნოს ამ ფრიად სასიმპატიო სასწავლებლის წარმატებისათვის.

ილია ივანეს ძეს წინაჭაღრიშვილს.

ჩვენს საქართველოს ვაება,
ბირი ურიცხვი სწვევია:
მტერი მარადის გარშემო
მახვილით, ცეცხლით სევია...
და თუ მაინც კი აქამდი
ცოცხალსა მოუწევია —
არ მიკვირს: შვილი შენებრი
აროდეს გამოლევია.

* * *

მამულის საკეთილდღეოთ
არ დაგიშურავს ქონება:
გწადია — ცოდნის მოფენით
მოსპო სიბნელე, მონება. —
სამშობლოს ეტრფის მარადის
შენი ფიქრი და გონება: —
შენებრი შვილის შემხედველს
მშობელს არ დაეღონება!

* * *

უძეოთ მოხუცებულსა —
ძე შეგძენია ქებული:
ეს არის „მეურნეობის
შკოლათა“ სახელდებული.

ეტყობა მადლი ღვთიური
მას, ზეცით მომადლებული...
და შენც წინ უძღვი, გზას უკვლევ,
შვილისთვის თავდადებული!..

***

ღმერთმა მოგასწროს იმისი
გამოზდა ღვთივმადლიანი,
რომ გაეკაფოს ცხოვრების
ჩვენი გზა ნარეკლიანი,—
ბალებათ გადაექცეოს
ჩვენი ქვეყანა კლდიანი...
იმასთან ერთათ იკურთხოს
შენი მარჯვენა ღვთიანი!

***

შინაარსი.

1. ატუნგატი (ქუთაისი, 1891 წ. 30—31 ივნვარს 5
2. დახტური (ქუთაისი, 1891 წ. 3—5 თებერვალს) 12
3. ააა! ვარდენს გასლაგარ! (ქუთაისი, 1895 წ. 24 მარტს; დაბეჭდილია 1896 წ. „ბეკლში“, № 16) 19
4. გულშემატკივარი მეგობარი (ქუთაისი, 1896 წ., შუა დეკემბერს; დაბეჭდილია 1896 წ. „ბეკლში“, № 2) 21
5. ბრძების სათაყვანო (ქუთაისი, 1896 წ. 26 მარტს; დაბეჭდილია 1896 წ. „ბეკლში“, № 17) 25
6. მეჭოტეები (ქუთაისი, 1896 წ. 28—29 მარტს; დაბეჭდილია 1896 წ. „ბეკლში“, № 21) 28
7. უანგარო მოდგაწე (სოფ. ქვიშხეთი, 1901 წ. 16 აგვისტოს) 31
8. ძველმოქმედება (სოფ. წინამძღვრიანთკარი, 1902 წ. 3—4 ივლისს) 36
9. ობოლი (სოფ. წინამძღვრიანთკარი, 1902 წ. 9—10 ივლისს). 40
10. ძართველია (ს. წინამძღვრიანთკარი, 1902 წ. 13 ივლისს). 44

11. მიჯნურის გვნესა (ქუთაისი, 1897 წ. 15 დეკემბერს) 51
12. ძვიშხეთის მთებში (ს. ქვიშხეთი, 1901 წ. შუა ივლისს; დაბეჭდილია შენოგლებით 1901 წ. „მოგზაურში“, № X) . . . 53
13. ტეეს (სოფ. ქვიშხეთი, 1901 წ. 20 აგვისტოს) 57
14. ჩემი წინადადება ქართული დექსიკონის შემუშავების შესახებ (სოფ. წინამძღვრიანთკარი, 1902 წ. 26 ივლისს) . . 59
15. როგორ უნდა გასწავლოთ ქართული ენა ჩვენს ახალგაზდობას? (სოფ. წინამძღვრიანთკარი, 1902 წ. 27 ივლისს) . 63
16. წინამძღვრიანთკარის სამეურნეო შკოლის კამა (სოფ. წინამძღვრიანთკარი, 1902 წ. 27 ივლისს) 66
17. ილია წინამძღვრიშვილს (სოფ. წინამძღვრიანთკარი, 1898 წ. 23 ივნისს) . . 71

გაასწორეთ შეცთომები:

1. მე-9 გვერდზე დაბეჭდილია ვერ შევსთხზეთ, უნდა: არ შევსთხზეთ.
2. მე-19 გვერდზე სიტყვით მაშ და მე-20 გვერდზე ორ ალაგას, სახელდობ სიტყვებით: საქმე და მშვიდობით, იწყება პასუხი (ორ პირს შორის არის საუბარი) — და ამიტომ აღნიშნული სიტყვების წინ უნდა იყოს ხაზი (—).
3. 62 გვერდზე დაბეჭდილია: სგვადასხვა, ეოველ-გვარი; უნდა იყოს: სხვადასხვა, ეოველგვარი.

894.63
6931

894.63
b 931

ამავე ავტორის თხზულებანი:

1. „ქართული ზმნები“ (1891 წ.) . . . . ხუთი შაური.
2. „ლექსები“ (1892 წ.) . . . . . ათი „
3. „სიმები“ (1894 წ.) . . . . . ერთი „
4. „მეზობლები“ (1899 წ.) . . . . . ერთი „
5. „ჩემი აზრი და ფიქრები“, პირველი წიგნი (1901 წ.) . . . . . ერთი აბაზი;
6. „სალიტერატურო ქართული“ (1901 წ.) . ერთი მანეთი.